ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 384/06

ქ. თბილისი 23 აპრილი 2018 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ნუნუ ოვსიანიკოვას სახით, და მეორე მხრივ, შპს „პენსან ჯორჯია" (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიგა გობიანიძის სახით, A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1], მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 23 აპრილის #1110 განკარგულების საფუძველზე , ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.6 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ფორსმაჟორი" - „მხარეები" -სათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, საომარი მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს A4 ფორმატის უმაღლესი ხარისხის საბეჭდი ქაღალდი (CPV-30197630) (შემდგომში - „საბეჭდი ქაღალდი"), რომელიც აკმაყოფილებს დანართით განსაზღვრულ ტექნიკურ მაჩვენებლებს.

2.2 შესასყიდი საქონლის რაოდენობა არის **1915 (ერთიათასცხრაასთხუთმეტი) შეკვრა.**

მათ შორის:

2.2.1. თსუ საკუთარი სახსრებით 1700 (ერთიათასშვიდასი) შეკვრა;

2.2.2. თსუ ეკონიმიკის საერთაშორისო სკოლა 159 (ასორმოცდაცხრამეტი) შეკვრა

2.2.3.თსუ გრანტი N FR/ 17_187 (ხელმძღ. ნ. დოლაბერიძე) – 8 (რვა) შეკვრა.

2.2.4. თსუ გრანტი N STCU-2016-51 (ხელმძღ. ჯ. ჩიღვინაძე) – 25 (ოცდახუთი) შეკვრა.

2.2.5 თსუ გრანტი N FR/ 17-633 (ხელმძღ. თ. ჯიმშელაძე) – 3 (სამი) შეკვრა.

2.2.6 თსუ გრანტი N FR189/5-113/14 (ხელმძღ. ნ. ინასარიძე) – 20 (ოცი) შეკვრა.

3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1 **ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 13 979.50 (ცამეტიათასცხრაასსამოცდაცხრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს.**

მათ შორის : თსუ საკუთარი სახსრებით - 12 410.00 (თორმეტიათასოთხასათი) ლარი;

თსუ ეკონიმიკის საერთაშორისო სკოლა - 1 160.70 (ერთიათასასსამოცი ლარი და სამოცდაათი თეთრი) ლარი

თსუ გრანტი N FR/ 17_187 – 58.40 (ორმოცდათვრამეტი ლარი და ორმოცი თეთრი) ლარი

თსუ გრანტი N STCU-2016-51 – 182.50(ასოთხმოცდაორი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარი

თსუ გრანტი N FR/ 17-633 - 21.90 (ოცდაერთი ლარი და ოთხმოცდაათი თეთრი) ლარი

თსუ გრანტი N FR189/5-113/14 - 146.00(ასორმოცდაექვსი) ლარი

3.2 ერთი შეკვრის ღირებულება შეადგენს 7.30 (შვიდი ლარი და 30 თეთრი) ლარს.

4. საქონლის მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების წესი

4.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საბეჭდი ქაღალდის მიტანა საკუთარი ხარჯებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დასახელებულ მისამართებზე: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ.#1, ხოლო ხელშეკრულების 2.2.2 პუნქტით მოთხოვნილი რაოდენობა 159 ცალი - ქ. თბილისი, ზანდუკელის ქ. #16.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით, შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება- ჩაბარების აქტი.

4.3 საქონელი ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.4 საბეჭდი ქაღალდის მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშსწორება ხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

5.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული წინამდებარე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა

6. მხარეთა უფლებები და ურთიერთვალდებულებები

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ერთჯერადად,

ბ) უზრუნველყოს საბეჭდი ქაღალდის მიტანა საკუთარი ხარჯებით ხელშეკრულებით მითითებულ მისამართებზე.

გ) პასუხი აგოს საბეჭდი ქაღალდის ხარისხის შესაბამისობაზე დანართით დადგენილ ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

6.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

6.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

6.4 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მიმწოდებლისაგან მოითხოვოს საქონელის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროსა და ადგილას.

ბ) ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი საბეჭდი ქაღალდის მთლიანი ღირებულების 1%-ს.

7. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დაღვევისათვის

7.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება, სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

7.2 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.3 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაიხადოს პირსაგამტეხლო ვადაგადაცილებით მიწოდებული საქონლის ღირებულების 0.02%.

7.4 სანქციების დაწესება არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7.6 შემსყიდველის მიერ 4.4 პუნკტში ნაკისრი ვალდებულების ვადაგადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისროს პირგასამტეხლო გადაუხთელი თანხის 0,02% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.ფორს-მაჟორი

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

8.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

10. სხვა პირობები

10.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

10.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა იყოს შესრულებული ქართულ ენაზე.

10.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 მაისამდე.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ.თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. #1
ს/კ: 204864548
ტ: 2 22 78 62
ელ-ფოსტა:
სახაზინო სამსახური
ხაზინის კოდი: TRESGE22
საგრანტო პროექტების N FR/ 17_187; N STCU-2016-51; N FR/ 17-633; N FR189/5-113/14 დაფინანსებით;
თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის და თსუ-ს საკუთარი სახსრებით

მიმწოდებელი:

შპს „პენსან ჯორჯია"
ქ. თბილისი, თამარ მეფის № 18

ს/კ: 404870760

სს „ვითიბი ბანკი"
ბანკის კოდი: UGEBGE22
ა/ა: GE 35 VT 6500 0000 5555 5555

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ნ.ოვსიანიკოვა

გიგა გობიანიძე

დანართი N1

უმაღლესიხარისხისაბეჭდიქაღალდისტექნიკურიმაჩვენებლები

1	ქაღალდისსრულიდასახელება (ბრენდი)	Ballet Brilliant
2	მწარმოებელიქვეყანა	რუსეთი
3	გრამაჟი (გრ/მ2)	82
4	სისქე (UM)	113
5	სითეთრე (CIE) Wcbg (ულტრაიისფერისხივებისგათვალისწინებით –%)	168
6	გაუმჭვირვალობა (%)	>95
7	სიკაშკაშე (%)	>98
8	ზედაპირისხაოიანობა (ML/MIN)	<150
9	შეკვრაშიფურცლებისრაოდენობა	500

მიმწოდებელი:

შპს ,,პენსან ჯორჯია''

გ. გობიანიძე

შემსყიდველი:

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ნ. ოვსიანიკოვა